

ლოგოს კონკურსი **ფრანგულ-ქართული დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის იუბილე**

საფრანგეთსა და საქართველოს შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის იუბილის აღსანიშნავად, საფრანგეთის საელჩო და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი აცხადებენ ერთობლივ კონკურსს ლოგოს შექმნისათვის, სათაურით: **„საფრანგეთი-საქართველო, დიპლომატიური ურთიერთობების 25 წელი“**.

მთელი საიუბილეო წლის მანძილზე, გამარჯვებული ლოგო გამოყენებულ იქნება საფრანგეთის საელჩოსა და ფრანგული ინსტიტუტის ოფიციალურ კომუნიკაციებში, ფრანგულ-ქართული დიპლომატიური ურთიერთობების მხარდასაჭერად.

კონკურსში მონაწილეობა სრულიად უფასოა და მასში მონაწილეობის მიღება ყველას შეუძლია. კონკურსის გამარჯვებულს საჩუქრად გადაეცემა საფრანგეთში წასასვლელი თვითმფრინავის ბილეთი (ორივე გზა).

კონკურსის პირობები

- ინდივიდუალური მონაწილეობა. შეიძლება გამოაგზავნოთ რამდენიმე ლოგო.
- ლოგო უნდა გამოგზავნოთ ციფრულ ფორმატში (jpeg, jpg, bmp, png ან psd). არჩეული ტექნიკის მხრივ გაქვთ სრული თავისუფლება (გრაფიკული პროგრამები, ნახატი, კოლაჟი, ფოტოგრაფია...)
- გრაფიკული ელემენტები:
 - o სიტყვები „France“, „Géorgie“ და რიცხვი „25“ აუცილებლად უნდა ჩანდეს ლოგოზე
 - o აუცილებელია ლურჯი, თეთრი და წითელი ფერების გამოყენება (ორივე ქვეყნის დროშების ფერები)
- ფაილის მაქსიმალური წონა: 500 კბ-დან 5მბ-მდე
- ზომები: 5x5სმ-დან 15x15სმ-მდე

- საავტორო უფლებები: მონაწილე თანხმდება, რომ მისი საავტორო უფლებები მთლიანად, ექსკლუზიურად და სრულიად უსასყიდლოდ გადაეცემა საფრანგეთის საელჩოს და ფრანგულ ინსტიტუტს საქართველოში.

მიეცით ფართო გასაქანი თქვენს წარმოსახვას და შექმენით ლოგო ფრანგულ-ქართული ურთიერთობების შესახებ.

გამარჯვებულ ლოგოს შეარჩევს ჟიური, მისი ორიგინალურობის, ფრანგულ-ქართული ურთიერთობების კარგად გადმოცემისა და ხარისხის მიხედვით. გამარჯვებულის დაჯილდოება გაიმართება 2017 წლის 20 მარტს, 15 საათზე.

მიიღეთ მონაწილეობა და მოიგეთ საფრანგეთში წასასვლელი თვითმფრინავის ბილეთი!

გამოგვიგზავნეთ თქვენი ნამუშევრები შემდეგ მისამართზე:

logo25@ambafrance-ge.org

გთხოვთ, ნამუშევრებს თან დაურთოთ თქვენი მონაცემები, ისევე როგორც ინფორმაცია თქვენი ამჟამინდელი საქმიანობის შესახებ (სტუდენტი, დასაქმებული, თვით-დასაქმებული, და სხვ.).

ნამუშევრების მიღების ბოლო ვადა: *2017 წლის 14 მარტი, 18 სთ*

მეტი ინფორმაციისთვის, გამოგზავნეთ თქვენი შეკითხვები შემდეგ მისამართზე:
logo25@ambafrance-ge.org